ქ. თბილისი 27 აგვისტო 2026 წ.

შპს „დელტა კომმის“

გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურების შეთავაზების წინადადება
(მოწვევის ოფერტა)

პრეამბულა

წინამდებარე დოკუმენტი (შემდგომში – „ოფერტა“), რომელიც შემუშავებულია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის, „კომისიის“ გადაწყვეტილებით შპს „დელტა კომმისთვის“ (შემდგომში - „დელტა კომმი“) დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებების და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, არეგულირებს „დელტა კომმის“ გამოყოფილი ახებით საბითუმო მომსახურების პირობებს.

„ოფერტაში“ მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

„განაცხადი“ – „მსურველი პირის“ წერილობითი მოთხოვნა „მომსახურების“ მიღების მიზნით, რომელიც აკმაყოფილების „ოფერტის“ მე-2 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს;

„დეპოზიტი“ – „მსურველი პირის“ მიერ „*დელტა კომმის*“ ანგარიშზე ჩარიცხული თანხა, რომელიც მოიაზრება „მსურველი პირის“ მხრიდან ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების შესრულების გარანტიად;

„თანალოკაციის ფართი“ – „დელტა კომმის“ სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობა, სადაც განთავსებულია „დელტა კომმის“ ქსელის ელემენტები, აპარატურა და ჩართვის წერტილი;

„ინსტალაცია“ - სამუშაო, რომელიც მოიცავს „კონტრაჰენტის“ აპარატურის მონტაჟს „თანალოკაციის ფართში“ და მის „დელტა კომმის“ ქსელთან დაერთებას;

„კონტრაჰენტი“ - „მსურველი პირი“, რომელიც „ოფერტით“ დადგენილი წესით გააფორმებს ხელშეკრულებას „დელტა კომმთან“ „მომსახურების“ მიღების თაობაზე;

„კომისია“ - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;

„მომსახურება“ - ა) მაგისტრალურ ქსელთან დაშვება შემდეგი ტექნოლოგიისათვის Dark fiber, Ethernet, WDM; ან/და ბ) „Backhaul” გადაცემის ქსელთან დაშვება;

„მსურველი პირი“ - ავტორიზებული პირი, რომელიც ახორციელებს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას საცალო ბაზრის სეგმენტზე და „ოფერტით“ დადგენილი წესით გამოხატავს სურვილს მიიღოს „მომსახურება“ „დელტა კომმისაგან“;

„მომსახურების ზონა“ – „კომიისიის“ გადაწყვეტილებით დადგენილი კონკრეტული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები ან/და კონკრეტული მონაკვეთები, სადაც „დელტა კომმი“ ცნობილია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად და დაკისრებული აქვს სპეციფიკური ვალდებულებები;

„სამუშაო დღე“ – ნებისმიერი დღე შაბათის, კვირისა და კანონმდებლობით განსაზღვრული ოფიციალური დასვენების/უქმე დღეების გარდა;

„სამუშაო საათი“ – „სამუშაო დღის“ 09:00 საათიდან 18:00 საათამდე;

„საბანკო გარანტია“ - გამოუხმობადი საბანკო გარანტია, რომელიც გაცემული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი ბანკის მიერ, რომლითაც გარანტიის გამცემი (ბანკი) კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს ფულადი თანხა ბენეფიციარს („დელტა კომმს“) ამ უკანასკნელის მიერ წერილობითი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში, თუ „კონტრაჰენტი“ დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ფინანსურ ვალდებულებებს. „საბანკო გარანტია“ უნდა იყოს გამოუთხოვადი და უპირობო (ბანკის მიერ თანხის გადახდა „დელტა კომმისათვის“ არ უნდა ეფუძნებოდეს რაიმე დამატებით პირობებს). საბანკო გარანტიის ფორმა და პირობები წინასწარ უნდა იქნას შეთანხმებული „დელტა კომმმთან“, რომელსაც, თავის მხრივ, უფლება აქვს არ მიიღოს მსგავსი დოკუმენტი, თუ იგი არ აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს და ოფერტით განსაზღვრულ პირობებს.

1. მუხლი. ოფერტის საგანი

1.1. წინამდებარე „ოფერტით“ განისაზღვრება „დელტა კომმის“ გამოყოფილი არხებით საბითუმო „მომსახურების“ პირობები „მსურველი პირისათვის“.

1.2. წინამდებარე „ოფერტა“ ვრცელდება მხოლოდ „კომისიის“ 2018 წლის 20 დეკემბრის #671/9 გადაწყვეტილებით დადგენილ „მომსახურების ზონებში“ მიწოდებულ „მომსახურებაზე“.

2. ხელშეკრულების გაფორმების პირობები

2.1 „მომსახურების“ მიწოდება ხორციელდება „დელტა კომმთან“ გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე.

2.2 ხელშეკრულების გაფორმების მიზნით „მსურველმა პირმა“ „განაცხადით“ უნდა მიმართოს „დელტა კომს“ შემდეგ მისამართზე: გაფრინდაული ქ. N2, ქ. თბილისი ან ელ. ფოსტაზე: info@delta-comm.ge.

2.3 „განაცხადში“, „მსურველმა პირმა“ ნათლად უნდა გამოხატოს ნება, თუ რა სახის მომსახურების მიღება სურს მას და ასევე ნათლად უნდა იქნას ასახული, რომ იგი სრულყოფილად გაცნობილია „ოფერტას“ და აცხადებს უპირობო აქცეპტს/თანხმობას „ოფერტის“ ყველა პირობის შესრულებაზე. შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ „მსურველ პირს“ „განაცხადით“ მიმართვის მომენტისათვის მიეწოდება „ოფერტით“ გათვალისწინებული „მომსახურება“, ასეთი „მსურველი პირის“ მიერ განხორციელებული აქცეპტი გულისხმობს და ადასტურებს იმ ფაქტს, რომ იგი თანახმაა „ოფერტას“ მიენიჭოს უპირატესი იურიდიული ძალა მხარეთა შორის გაფორმებულ ყველა სხვა ხელშეკრულებასთან, თუ სხვა გარიგებასთან მიმართებით და ასეთი გარიგებები აქცეპტიდან არაუგვიანეს 30 დღის გასვლის შემდგომ ჩაითვლება შეწყვეტილად.

2.4 „განაცხადში“ წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

2.4.1 საფირმო სახელწოდება;

2.4.2 იურიდიული და ფაქტობრივი მისამართები;

2.4.3 ელექტრონული ფოსტის მისამართი;

2.4.4 წარმომადგენლის/საკონტაქტო პირის სახელი, გვარი და საკონტაქტო ნომერი;

2.4.5 საქმიანობის სახეები, რაზეც „კომისიაში“ გავლილი აქვს ავტორიზაცია;

2.4.6 მოთხოვნილი „მომსახურების“ სახეობა, მოცულობა, ტექნოლოგია და „მომსახურების ზონა“;

2.5 „განაცხადს“ თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

2.5.1 ავტორიზაციის მოწმობის ასლი;

2.5.2 განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

2.6 იმ შემთხვევაში, თუ „მსურველი პირის“ მხარეს არსებობს შეუსრულებელი, ვადამოსული ფინანსური ვალდებულება („ოფერტით“ გათვალისწინებული „მომსახურების“ თუ სხვა სახის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე) „დელტა კომმის“ წინაშე, იგი ვალდებულია სრულად შეასრულოს ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში „განაცხადი“ არ ჩაითვლება მიღებულად და შესაბამისად „დელტა კომმის“ მხრიდან არ წარმოშობს არანაირ ვალდებულებას გააფორმოს მასთან ხელშეკრულება და მიაწოდოს „მომსახურება“. წინამდებარე ქვეპუნქტით განსაზღვრული დამაბრკოლებელი გარემოების აღმოფხვრის შემთხვევაში (შეუსრულებელი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში), „მსურველი პირის“ მიერ თავიდან უნდა იქნას წარმოდგენილი „განაცხადი“. ამ პუნქტის მიზნებისათვის შეუსრულებელ ფინანსურ ვალდებულებად მოიაზრება, ნებისმიერი მომსახურების/საქონლის/ურთიერთჩათვლის/ვალის აღიარების საფუძველზე „დელტა კომმის“ მიერ დარიცხული/მოთხოვნილი ნებისმიერი ფულადი თანხა.

2.7 იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი „განაცხადი“ სრულად არ აკმაყოფილებს 2.4, 2.5 და 2.6 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, „მსურველ პირს“ 5 „სამუშაო დღის“ ვადაში ეცნობება ამის

შესახებ, ამასთან 2.8-2.12 პუნქტებით გათვალისწინებული ვადის ათვლა არ დაიწყება. ვადის ათვლა დაიწყება მხოლოდ „განაცხადის“ სრულყოფილად წარმოდგენის შემდგომ.

2.8 იმ შემთხვევაში, თუ „განაცხადი“ შედგენილია 2.4, 2.5 და 2.6 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, მაგრამ მოთხოვნილ „მომსახურების ზონაში“ დაშვება/„მომსახურება“ დაკავშირებულია ტექნიკურ სირთულესთან ან/და საჭიროებს დამატებით შესწავლას/მოკვლევას, „დელტა კომმი“ 5 „სამუშაო დღის“ ვადაში შეისწავლის „მომსახურების“ მიწოდების შესაძლებლობას და აცნობებს „მსურველ პირს“. იმ შემთხვევაში, თუ „მსურველი პირის“ მიერ მოთხოვნილი „მომსახურების“ გაწევა ტექნიკურად შეუძლებელია, „დელტა კომმი“ აცნობებს ამის თაობზე „მსურველ პირს“. ასეთ შემთხვევაში, წყდება მხარეთა შორის „ოფერტით“ გათვალისწინებული ყველა სახის სამართლებრივი ურთიერთობა და მხარეები თავისუფლდებიან „ოფერტით“ გათვალისწინებული ვალდებულებისაგან.

2.9 2.4, 2.5 და 2.6 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით წარდგენილი „განაცხადისა“ და დოკუმენტაციის ჩაბარებიდან: (ა) მოთხოვნილ „მომსახურების ზონაში“ თავისუფალი რესურსის/ ტექნიკური შესაძლებლობის არსებობის და (ბ) „მსურველი პირის“ მიერ მოთხოვნილი „მომსახურების“ (ტექნოლოგიის, მოცულობის და ა.შ.) შესაძლებლობის შემთხვევაში, „დელტა კომმი“ 15 დღის განმავლობაში გაუგზავნის „მსურველ პირს“ ხელშეკრულების პროექტს, მის მიერ „განაცხადში“ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე.

2.10 „მსურველი პირი“ ვალდებულია, ხელშეკრულების პროექტის მიღებიდან 2 დღის ვადაში, ელექტრონულ ფოსტაზე დაუდასტუროს „დელტა კომმს“ დაეთანხმოს ხელშეკრულების პირობებს ან მიაწოდოს შენიშვნები. ამასთან, „მსურველი პირი“ ვალდებულია, მიაწოდოს „მდელტა კომმს“ ინფორმაცია იმ პირების შესახებ (სახელი, გვარი, პირადი ნომერი), რომელიც ჩართული იქნებიან „მომსახურების“ მიწოდებისათვის განსახორციელებელი სამუშაოების ჩატარებაში.

2.11 2.10 პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული დასტურის მიღების შემდგომ „დელტა კომმი“ უგზავნის „მსურველ პირს“ ხელმოწერილ ხელშეკრულებას. „მსურველ პირი“, თავის მხრივ ვალდებულია 3 დღის ვადაში ხელი მოაწეროს და გადასცეს ხელმოწერილი ეგზამპლარი „დელტა კომმს“.

2.12 ხელმოწერილი ხელშეკრულების „დელტა კომმისთვის“ მიწოდების შემდგომ, მხარეები შეათანხმებენ „მომსახურების“ მიწოდებისათვის აუცილებელ დეტალებს, საინსტალაციო სამუშაოების ჩატარების სახეს, ხანგრძლივობას და მის ჩატარებაზე უფლებამოსილ პირთა ვინაობას, ტესტირების განხორციელების ვადებს, სხვა მნიშვნელოვან ტექნიკურ საკითხებს.

3. მუხლი. ტექნიკური პირობების შეთანხმება და ინსტალაცია

3.1 ჩართვის წერტილები, ჩართვის/„მომსახურების“ ტიპი/ტექნოლოგია, „თანალოკაციის ფართზე“/ჩართვის წერტილში განსათავსებელი აპარატურა და სხვა პირობები აისახება ხელშეკრულების დანართში. ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ მხარეები შეათანხმებენ: (ა) საინსტალაციო სამუშაოების ჩატარების დაწყების ზუსტ თარიღს და (ბ) ამ სამუშაოების ჩატარების ხანგრძლივობას. მხოლოდ ამ პირობების შეთანხმების, „ინსტალაციის“ საფასურის წინასწარ სრულად გადახდის შემდგომ დაიწყება საინსტალაციო სამუშაოები.

3.2 სამუშაოების ჩატარების პროცესში „კონტრაჰენტი“ ვალდებულია შეასრულოს „დელტა კომმის“ მითითებები, რაც აუცილებელია საინსტალაციო სამუშაოების ჩასატარებლად.

3.3 „კონტრაჰენტი“ ვალდებულია გამოიჩინოს განსაკუთრებული გულისხმიერება და წინდახედულობა იმ პირთა შერჩევისას, რომელიც მისი მხრიდან ჩართული იქნებიან საინსტალაციო სამუშაოების პროცესში და იგი დაავალოს მხოლოდ იმ პირ(ებ)ს, რომელსაც აქვს ამ დარგში სამუშაოების განხორციელების შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. „კონტრაჰენტი“ ვალდებულია წინასწარ შეათანხმოს „დელტა კომმთან“ პირ(ებ)ი, რომელიც ჩართული იქნება საინსტალაციო სამუშაოების განხორციელების პროცესში.

3.4 „ინსტალაციის“ სტანდარტული საფასური მოცემულია დანართ N1-ში. „ინსტალაციის“ საფასურის ზუსტი ოდენობა, „კონტრაჰენტს“ ეცნობება ხელშეკრულების გაფორმების და ყველა ტექნიკური დეტალის შეთანხმების შემდგომ. საინსტალაციო სამუშაოები დაიწყება „კონტრაჰენტის“ მიერ ინსტალაციის საფასურის სრულად დაფარვის შემდგომ.

3.5 მას შემდეგ, როდესაც განხორციელებულ იქნება საინსტალაციო სამუშაოები და „მომსახურების“ მიწოდებისთვის აუცილებელია ყველა ტექნიკური სამუშაო, მათ შორის ტესტირება, „მხარეთა“ შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

3.6 „თანალოკაციის ფართში“ ან სხვა ნებისმიერ წერტილში, განთავსებული „კონტრაჰენტის“ კუთვნილი აპარატურა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ სტანდარტებს:

3.6.1 დენის წყარო - 48V DC;

3.6.2 დენის დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს - 30A-ს;
3.6.3 აპარატურის გაბარიტების სტანდარტი 19“ (EIA-310 Standard 19″ Rack), მაქს. სიღრმე 60 სმ;
3.6.4 აპარატურის გაგრილების კონტური Front-to-back airflow;
3.6.5 რეკში დაკავებული UNIT-ების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს - 10-ს;
3.6.6 ურთიერთჩართვის ფიზიკური ინტერფეისი: IEEE 802.3 Ethernet 1/10/100 GE ოპტიკური პორტი;
3.6.7 მოწყობილობის და შეერთებების მარკირება: ANSI/TIA-606-B სტანდარტების შესაბამისად;
3.6.8 ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის ODF პანელი: 19″, 12/24/48 ოპტიკური ღეროსთვის, 1 Rack Unit. CE, ISO, RoHS სერტიფიცირებით;
3.6.9 აპარატურა უნდა იყოს CE მარკირებით.
3.7 „თანალოკაციის ფართის“ მისამართები მოცემულია „ოფერტის“ დანართ N2-ში.

4. მუხლი. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მოქმედების ვადა, შეწყვეტის პირობები

4.1 „ოფერტის“ მე-2 მუხლში აღწერილი პროცედურების დაცვის გათვალისწინებით, ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე და მის დანართ(ებ)ზე ორივე მხარის ხელმოწერის ან ხელშეკრულებაში მითითებული სხვა თარიღიდან, ხოლო „მომსახურების“ მიწოდება დაიწყება: (ა) „კონტრაჰენტის“ მიერ „ინსტალაციის“ და „მომსახურების“ საფასურის სრულად გადახდის (თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ), (ბ) „თანალოკაციის ფართზე“ დაშვების საფასურის წინასწარ გადახდის (თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ), (გ) „საბანკო გარანტიის“ წარმოდგენის ან „დეპოზიტის“ ჩარიცხვის (რომელიც უნდა იყოს არანაკლებ ხელშეკრულების საფუძველზე ორი თვის განმავლობაში გასაწევი მომსახურების ჯამური ოდენობა) და (დ) 3.5 პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდგომი „სამუშაო დღიდან“. შენიშვნა: „დელტა კომმის“ გადაწყვეტილებით შესაძლებელია „მსურველი პირი“ გათავისუფლდეს „საბანკო გარანტიის“ წარმოდგენის ან „დეპოზიტის“ ჩარიცხვისაგან თუ ასეთ პირთან არსებული სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან და ერთმანეთისთვის გაწეული მომსახურების მოცულობიდან გამომდინარე, „დელტა კომმის“ შეფასებით არ არსებობს მომსახურების საფასურის არ გადახდის რისკი.
4.2 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა გულისხმობს „მომსახურების“ დაწყებას და ხელმოწერის მომდევნო „სამუშაო დღიდან“ დაიწყება „კონტრაჰენტისათვის“ „მომსახურების“ საფასურის დარიცხვა.
4.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი განახლების პირობები განისაზღვრება უშუალოდ ხელშეკრულებით.
4.4 ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს:
4.4.1 „მხარეთა“ ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით;
4.4.2 ხელშეკრულების ძალადაკარგულად ან ბათილად ცნობის შემთხვევაში;
4.4.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების უხეში დარღვევის შემთხვევაში;
4.4.4 „დელტა კომმისათვის“ დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულების შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში;
4.4.5 „საბანკო გარანტიის“ ვადის გასვლის ან სხვაგვარად ძალადაკარგულად/ბათილად ცნობის შემთხვევაში;
4.4.6 „დელტა კომმის“ ინიციატივით, ცალმხრივად, „მომსახურების“ შეჩერების საფუძვლის 30 დღეში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში.
4.4.7 „კონტრაჰენტის“ ინიციატივით 30 დღით ადრე შეტყობინების საფუძველზე;
4.4.8 „ოფერტით“, ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
4.5 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, „დელტა კომმი“ უფლებამოსილია ყოველგვარი დამატებითი გაფრთხილების გარეშე შეწყვიტოს „მომსახურების“ მიწოდება.
4.6 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, „დელტა კომმი“ უგზავნის „კონტრაჰენტს“ შეტყობინებას მისი კუთვნილი აპარატურის დემონტაჟის თაობაზე. „კონტრაჰენტი“ ვალდებულია ასეთი შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში გადაიხადოს დემონტაჟის საფასური და გამოაგზავნოს წარმომადგენელი „დელტა კომმის“ მითითებულ დროს დემონტაჟის ჩატარების და აპარატურის ჩაბარების მიზნით. თუ „კონტრაჰენტი“ აღნიშნულ ვადაში არ ჩაიბარებს აპარატურას, იგი ჩაითვლება განადგურებულად, ხოლო „დელტა კომმი“ მიმართავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს დემონტაჟის საფასურის გადახდევინების უზრუნველსაყოფად.

5. მუხლი. მომსახურე პერსონალის დაშვების პირობები

5.1 „დელტა კომმი“ უზრუნველყოფს „კონტრაჰენტის“ სპეციალისტების, ტექნიკური პერსონალისა და უფლებამოსილი წარმომადგენლების დაშვებას „თანალოკაციის ფართში“ „სამუშაო საათებში“. ასეთი დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ამ მუხლით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცედურების ზედმიწევნით დაცვით და მხოლოდ „დელტა კომმის“ წარმომადგენლის თანხლებით.

5.2 „კონტრაჰენტმა“ წინასწარ უნდა შეატყობინოს „დელტა კომმს“ იმ პირთა ვინაობა (სახელი, გვარი და პირადი ნომერი), რომელთაც „კონტრაჰენტი“ ანიჭებს „თანალოკაციის ფართზე“ დაშვების უფლებას. ამასთან, „კონტრაჰენტი“ ვალდებულია გამოიჩინოს განსაკუთრებული გულისხმიერება და წინდახედულობა იმ პირთა შერჩევისას, რომელთაც ექნებათ „თანალოკაციის ფართზე“ დაშვების უფლება. ასეთი პირებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება.

5.3 „თანალოკაციის ფართზე“ ყოველ ჯერზე დაშვების უფლების მიღებისათვის, „კონტრაჰენტი“ უგზავნის „დელტა კომმს“ ასეთ მოთხოვნას ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე. მოთხოვნა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

5.3.1 იმ პირთა ჩამონათვალს (სახელის, გვარის და პირადი ნომრის მითითებით), რომელმაც უნდა მიიღოს ნებართვა დაშვებაზე;

5.3.2 დაშვების მიზანს;

5.3.3 შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობას;

5.3.4 სამუშაოების დაწყების და დასრულების დროს;

5.3.5 5.5. პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5.4 „თანალოკაციის ფართზე“ დაშვების თაობაზე „დელტა კომმის“ უნდა ეცნობოს 5 „სამუშაო დღით“ ადრე. „დელტა კომმი“ გასცემს დაშვების ნებართვას, სადაც სხვა პირობებთან ერთად მითითებული იქნება დაშვების ზუსტი თარიღი და დრო. „დელტა კომმი“ ამავე დროს უზრუნველყოფს საკუთარი წარმომადგენლის დასწრებას. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა არ აკმაყოფილებს 5.3 პუნქტით გათვალისწინებულ პირობებს, „დელტა კომმი“ აცნობებს აღნიშნულის თაობაზე „კონტრაჰენტს“ და დაშვების უფლება არ გაიცემა. „კონტრაჰენტს“ უფლება აქვს ხელახდა მიმართოს „დელტა კომმს“ 5.3 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით.

5.5 იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ავარიას, რა დროსაც აუცილებელია „თანალოკაციის ფართზე“ სამუშაოების დაუყოვნებლივ ჩატარება, „კონტრაჰენტი“ ვალდებულია 5.3 პუნქტში დამატებით მიუთითოს ავარიის თაობაზე და დაასაბუთოს სამუშაოების დაუყოვნებლივ ჩატარების აუცილებლობა.

5.6 5.5 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, „დელტა კომმი“ გამოიყენებს ძალისხმევას გასცეს დაშვების ნებართვა 8 „სამუშაო საათის“ განმავლობაში.

5.7 აპარატურის განთავსების/მოხსნის აუცილებლობის შემთხვევაში, „კონრაჰენტი“ ვალდებულია წინასწარ შეათანხმოს „დელტა კომმთან“, რა დროსაც მხარეთა შორის გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

5.8 „თანალოკაციის ფართზე“ შესვლისას „კონტრაჰენტი“ ვალდებულია დაიცვას ყველა ტექნიკური, სანიტარული, ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების თუ სხვა ნორმები, ისევე როგორც „დელტა კომმის“ მიერ დადგენილი წესები.

5.9 „კონტრაჰენტი“ შეუზღუდავად აგებს პასუხს მისი წარმომადგენლის მიერ „თანალოკაციის ფართზე“ არსებული „დელტა კომმის“ ან სხვა მესამე პირის საკუთრებაში არსებული ქონების დაზიანებაზე და ნებისმიერ პირდაპირ და არაპირდაპირ ზიანზე, რომელიც შეიძლება მიადგეს „დელტა კომმს“ ან მესამე პირს.

5.10 „თანალოკაციის ფართით“ სარგებლობის და დაშვების უფლება „კონტრაჰენტს“ გადაეცემა მხოლოდ „ოფერტით“ გათვალისწინებული და მისგან გამომდინარე „მომსახურების“ მიღების უზრუნველსაყოფად.

5.11 აკრძალულია „კონტრაჰენტის“ მხრიდან „დელტა კომმის“ ნებართვების გარეშე „თანალოკაციის ფართზე“ შესვლა და ნებისმიერი ქმედება. ნებისმიერი სახის გადახვევა „ოფერტით“ ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაშვების პირობებიდან, წარმოადგენს ხელშეკრულების პირობების უხეშ დარღვევას.

5.12 ნებისმიერი სახის სამუშაოს შესრულების თაობაზე მიღებულ უნდა იქნას „დელტა კომმის“ ნებართვა და სამუშაო შესრულებულ უნდა იქნას ნებართვაში მითითებული პირობების ზედმიწევნით დაცვით.

5.13 „დელტა კომმი“ უფლებამოსილია აუკრძალოს დაშვება კონკრეტულ პირ(ებ)ს, რომელიც დაარღვევს „ოფერტით“/ნებართვით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან არ შეასრულებს „დელტა კომმის“ წარმომადგენლის მითითებებს.

5.14 „დელტა კომმი“ უფლებას იტოვებს დამატებით შეიმუშაოს „თანალოკაციის ფართში“ დაშვების პირობები. ასეთ შემთხვევაში, „დელტა კომმი“ წერილობით შეატყობინებს „კონტრაჰენტს“ ასეთი წესების ძალაში შესვლის თაობაზე და იგი სავალდებულო იქნება „კონტრაჰენტის“ მიერ „თანალოკაციის ფართით“ სარგებლობის შემთხვევაში.

6. მუხლი. მომსახურების ტარიფები

6.1 „მომსახურების“ რეგულირებული ტარიფები მოცემულია „ოფერტის“ დანართში N1-ში.

6.2 „თანალოკაციის ფართით“ სარგებლობის საფასური მოცემულია „ოფერტის“ დანართში N1, რომელიც ასევე მოიცავს ელ.ენერგიის, კონდიცირების საფასურს და მისი გადახდა განხორციელდება „მომსახურების“ საფასურთან ერთად. „თანალოკაციის ფართით“ სარგებლობის ყოველთვიური საფასური, ასევე მოიცავს „თანალოკაციის ფართზე“ თვის განმავლობაში არაუმეტეს თვეში 3-ჯერ დაშვებას.

6.3 გარდა 6.2 პუნქტით გათვალისწინებულისა, „თანალოკაციის ფართზე“ ყოველი დამატებითი დაშვების საფასური (შემდგომში - „დამატებითი დაშვების საფასური“), მოცემულია „ოფერტის“ N1 დანართში. „კონტრაჰენტი“ ვალდებულია „შეიძინოს დამატებითი დაშვების უფლება“.

6.4 „მომსახურების“ რეგულირებული საფასურით გათვალისწინებული ხარისხობრივი პარამეტრები და ტექნიკური მომსახურების პირობები მოცემულია დანართ N3-ში.

6.5 ტარიფები შესაძლოა ცალმხრივად შეიცვალოს „დელტა კომმის“ მხრიდან ნებისმიერ დროს, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, „კონტრაჰენტის“ შეტყობინების საფუძველზე.

6.6 იმ შემთხვევაში, თუ „კონტრაჰენტი“ არ ეთანხმება ცვლილებებს, ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 3 „სამუშაო დღის“ ვადაში წერილობით აცნობოს „დელტა კომმს“. ასეთი შეტყობინება მოიაზრება როგორც „კონრაჰენტის“ ნების გამოვლენად ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე და „დელტა კომმი“ უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და შესაბამისად „მომსახურების“ მიწოდება. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში „დელტა კომმი“ არ მიიღებს წერილობით შეტყობინებას, მიიჩნევა, რომ „კონტრაჰენტი“ ეთანხმება ცვლილებებს.

6.7 იმ შემთხვევაში, თუ უქმდება არსებული „თანალოკაციის ფართი“, „დელტა კომმი“ აცნობებს „კონტრაჰენტს“ აღნიშნულის თაობაზე, გაუქმებამდე არაუგვიანეს 30 დღით ადრე და შესთვაზებს სხვა „თანალოკაციის ფართს“. ასეთ შემთხვევაში, „კონტრაჰენტი“ ვალდებული იქნება უზრუნველყოს კაბელის მიყვანა ახალ „თანალოკაციის ფართამდე“ და გადაიხადოს „ინსტალაციის“ საფასური. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ „კონტრაჰენტს“ აღარ სურს „მომსახურების“ მიღება ამ კონკრეტულ „მომსახურების ზონაში“ და „მომსახურების“ მიწოდება შეწყდება შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან.

7. მუხლი. ანგარიშწორების პირობები

7.1 თუ „მხარეები“ სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, „კონტრაჰენტი“ ვალდებულია „მომსახურების“ და „თანალოკაციის ფართით“ სარგებლობის საფასური გადაიხადოს ყოველთვიურად, არაუგვიანეს ყოველი მომდევნო თვის 25 რიცხვამდე.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ 7.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადაში „მომსახურების“ და „თანალოკაციის ფართით“ სარგებლობის საფასური არ იქნება სრულად გადახდილი, „დელტა კომმი“ უფლებამოსილია ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეაჩეროს „მომსახურების“ მიწოდება. შეჩერებული „მომსახურების“ მიწოდება აღდგება „მომსახურების“ და „თანალოკაციის ფართით“ სარგებლობის საფასურის „დელტა კომმის“ ანგარიშზე სრულად ჩარიცხვიდან არაუგვიანეს 5 „სამუშაო დღის“ განმავლობაში.

7.3 „დელტა კომმი“ უზრუნველყოფს გაწეულ „მომსახურებაზე“ დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის მიწოდებას საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

7.4 ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში, „დელტა კომმი“ უფლებამოსილია წერილობითი შეტყობინების საფუძველზე დააკისროს „კონტრაჰენტს“ პირგასამტეხლოს გადახდა, გადასახდელი თანხის 0,1%–ს ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს ოდენობა გამოიანგარიშება ანგარიშსწორების ვადის დარღვევის დღიდან, მიუხედავად წერილობითი შეტყობინების გაგზავნის თარიღისა.

7.5 „ოფერტით“ და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი პირგასამტეხლოს/ჯარიმის/საურავის გადახდა დამრღვევ მხარეს დაეკისრება მხოლოდ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე და წარმოადგენს მხარის უფლებას და არა ვალდებულებას დამრღვევი მხარის მიმართ.

7.6 „მხარეები“ უფლებამოსილნი არიან, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ანგარიშსწორება აწარმოონ მხარეთა შორის სხვა მომსახურებიდან/ხელშეკრულებიდან მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვით.

8. მუხლი. ხელშეკრულების ფარგლებში, მომსახურების დამატების პირობები და პროცედურები

8.1 „დელტა კომმსა“ და „კონტრაჰენტს“ შორის „ოფერტის“ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, „მომსახურების“ დამატების ან „მომსახურების“ მოცულობის გაზრდის სურვილის შემთხვევაში, „კონტრაჰენტმა“ უნდა მიმართოს „დელტა კომმს“ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

8.2 მოთხოვნას უნდა დაერთოს 2.4.6 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია. „დელტა კომმი“ 5 „სამუშაო დღის“ ვადაში შეისწავლის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას და აცნობებს „კონტრაჰენტს“.

8.3 (ა) ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის წარდგენის, (ბ) მოთხოვნილ „მომსახურების ზონაში“ თავისუფალი რესურსის არსებობის, (გ) ტექნიკური შესაძლობლობის (დ) „კონტრაჰენტის“ მხრიდან ვადამოსული ვალდებულების შესრულების, (ე) საინსტალაციო სამუშაოების საჭიროებისას, მისი ღირებულების გადახდის და (ვ) განახლებული „საბანკო გარანტიის“ წარდგენის ან „დეპოზიტის“ შესაბამისი ოდენობით გაზრდის შემთხვევაში, „დელტა კომმი“ 15 დღის განმავლობაში გაუგზავნის „კონტრაჰენტს“ შეთანხმებას, დამატებითი „მომსახურების“/მოცულობის გაზრდის თაობაზე და „კონრაჰენტი“ ვალდებულია მომდევნო 5 დღის განმავლობაში მიაწოდოს „დელტა კომმს“ მისი მხრიდან ხელმოწერილი შეთანხმება.

8.4 „მომსახურების“/მოცულობის დამატების პროცედურა ხორციელდება „ოფერტის“ მე-2 და მე-3 მუხლების შესაბამისად.

9. მუხლი. ექსტრაორდინალურ და ფორს-მაჟორულ შემთხვევებთან დაკავშირებული პირობები და მხარეთა ურთიერთვალდებულებები

9.1 „ოფერტით“ გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარებაზე წინასწარი გაფრთხილების ვადა შეიძლება შემცირდეს ან საერთოდ გამოირიცხოს თუ სარემონტო, საინსტალაციო ან აღდგენითი ან სხვაგვარი სამუშაოების ჩატარება „მხარეებს“ არ შეეძლოთ წინასწარ განეჭვრიტათ და თუ სამუშაოების ჩატარება საჭიროა დაუყოვნებლივ, როცა დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს ქსელის ტექნიკური საშუალებების დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი. ამ პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარეები აცნობებენ ერთმანეთს შესაძლო მოკლე ვადაში.

9.2 „მხარეებმა“ დაუყონებლივ უნდა შეატყობინონ ერთმანეთს ისეთი დაზიანების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს „მხარეთა“ აპარატურაზე, ქსელზე, ტერმინალურ მოწყობილებებზე.

9.3 „მხარეები“ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის „დაუძლეველი ძალის“ მოქმედების შემთხვევაში, რომლის დადგომა აფერხებს ან შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

9.4 „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა თუ ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ.

9.5 „დაუძლეველი ძალის“ გარემოებები გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი სახის მოვლენებით: სტიქიური უბედურებები, მათ შორის წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, მეწყერი, გაფიცვა, მასობრივი არეულობა, საბოტაჟი, ტერორისტული და დივერსიული აქტები, ოფიციალურად გამოცხადებული ან გამოუცხადებელი საომარი მოქმედებები და შეიარაღებული კონფლიქტები, საგანგებო ან საომარი მდგომარეობები, ბლოკადა, სამოქალაქო არეულობები, ხელისუფლების ორგანოების ისეთი მოქმედებები, აქტები ან სანქციები, რაც არსებითად აფერხებს ან შეუძლებელს ხდის მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

9.6 თუ ზემოხსენებულმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროის თანაბარზომიერად გაიზრდება. „მხარე“, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულების შესრულება, ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 7 (შვიდი) დღისა ამ გარემოებების დადგომიდან ან დასრულებიდან, შეატყობინოს მეორე „მხარეს“ წერილობით. შეუტყობინებლობის, ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში „მხარე“ კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.

9.7 „კონტრაჰენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ დანერგავს ისეთ მექანიზმებს, რომელიც უზრუნველყოფს საკომუნიკაციო მომსახურებაში არსებული თაღლითური ქმედების (fraud) ეფექტურ აღმოჩენას და დროულად რეაგირებას. ამავე დროს „მხარეები“ თანხმდებიან, რომ მჭიდროდ ითანამშომლებენ ამ პუნქტით გათვალისწინებული ორმხრივი ვალდებულებების შესასრულებლად. „კონტრაჰენტის“ მხრიდან/ქსელიდან რაიმე სახის fraud-ის აღმოჩენის შემთხვევაში, „დელტა კომმი“ უფლებამოსილია შეწყვიტოს/შეზღუდოს „მომსახურების“ მიწოდება.

9.8 „დელტა კომმი“, იღებს ვალდებულებას დაზიანებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი აღადგინოს კანონმდებლობით და „ოფერტით“ დადგენილ ვადებში. დაზიანების თაობაზე შეტყობინების და მასზე რეაგირების პირობები რეგულირდება „ოფერტით“ და ხელშეკრულებით.

10. მუხლი. უსაფთხოების დაცვა

10.1. „კონტრაჰენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ მის მიერ გამოყენებული აპარატურა და დანადგარები, იქნება თავსებადი „დელტა კომმის“ აპარატურასთან/ქსელთან, არ დააზიანებს „დელტა კომმის“ კუთვნილ საკომუნიკაციო აპარატურას/ქსელის ელემენტებს, არ მოახდენს საზიანო ხელშეშლას ან/და არ გამოიწვევს რაიმე სახის შეფერხებას „დელტა კომმის“ ქსელის ფუნქციონირებაში.

10.2. საზიანო ხელშეშლის ან სხვა ისეთი გარემოების დადგომისას, რაც საფრთხეს უქმნის ქსელის უსაფთხოებას, თუ სხვა საშუალებით საფრთხის არიდება შეუძლებელია, „მხარეები“ დაუყოვნებლივ მიიღებენ ყველა ზომას ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოსაფხვრელად. საჭიროების შემთხვევაში „მხარეები“ შექმნიან ერთობლივ კომისიას. საზიანო ხელშეშლა გულისხმობს ხელშეშლას, რომელიც საზიანო (მავნე) ზეგავლენას ახდენს ხელშეკრულების მონაწილე „მხარის“ ქსელის ელემენტებზე, აპარატურაზე, მოწყობილობებზე, ბოლო მომხმარებლის ტერმინალურ მოწყობილობებზე და ნებისმიერ საგანზე, რომელიც შეაფერხებს ან დაუკარგავს „მომსახურების“ ხარისხს ან რაიმე სახის ზეგავლენას მოახდენს ქსელის უსაფრთხოებაზე ან საფრთხეს შეუქმნის მის გამართულ ფუნქციონირებას.

11 მუხლი. დავების გადაწყვეტა

11.1 „მხარეთა“ შორის წარმოშობილი უთანხმოება ან დავა, „მხარეთა“ მიერ „ოფერტის“ ან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან, რომელიმე დებულების გაუქმებასთან ან ძალის დაკარგვასთან, ვალდებულებების არ ან არაჯეროვან შესრულებასთან, ზიანის ანაზღაურებასთან, თანხების ან დავალიანების გადახდასთან, ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან ან „ოფერტიდან“ და ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა გადაწყდება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით.

11.2 „მხარეთა“ შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერ „მხარეს“ უფლება აქვს სადავო საკითხის განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად მიმართოს „კომისიას“ ან სასამართლოს - კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს.

12 მუხლი. დასკვნითი დებულებები

12.1 „მსურველი პირის“ მხრიდან წინამდებარე „ოფერტაზე“ განხორციელებული აქცეპტი წარმოადგენს ხელშეკრულების გაფორმების საფუძველს. „ოფერტა“ და ხელშეკრულება წარმოადგენენ ერთიან დოკუმენტს.

12.2 „კონტრაჰენტსა“ და „დელტა კომმს“ შორის კომუნიკაცია წარმოებს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით. „კონტრაჰენტი“ და „დელტა კომმი“ თანხმდებიან, რომ „კონტრაჰენტის“ მხრიდან 2.4.3 პუნქტის და „დელტა კომმის“ მხრიდან ხელშეკრულებაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართების საშუალებით განხორციელებული კომუნიკაცია, უთანაბრდება წერილობით შეტყობინებას.

12.3 თუ „ოფერტაში“ ან „ოფერტის“ ცვლილებაში სხვაგვარად არ არის განსაზღვრული ცვლილების ამოქმედების პირობები და ვადები, ცვლილება ძალაში შედის„ოფერტის“ ცვლილების ან ახალი „ოფერტის“ გამოქვეყნების („კომისიის“ ვებ-გვერდზე) მომენტიდან.

12.4 ავტორიზებული პირი, რომელსაც ამ „ოფერტის“ ძალაში შესვლის მომენტისათვის მიეწოდება „ოფერტით“ გათვალისწინებული „მომსახურება“, ვალდებულია „დელტა კომმის“ მოთხოვნიდან არუგვიანეს 60 დღის ვადაში გააფორმოს ხელშეკრულება „დელტა კომმთან“ ამ ოფერტით დადგენილი წესების დაცვით. წინააღმდეგ შემთხვევაში, „დელტა კომმი“ უფლებამოსილია, ხელშკრულების პირობების დაცვით, შეწყვიტოს ასეთ ავტორიზებულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება, ამ „ოფერტით“ გათვალისწინებული „მომსახურების“ მიწოდებაზე.

12.5 წინამდებარე ოფერტა ძალაში „კომისიის“ ვებგვერდზე გამოქვეყნების დღიდან.

12.6 12.5 პუნქტის თანახმად „ოფერტის“ ძალაში შესვლიდან დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვლება „დელტა კომმის“ 2019 წლის 1 მაისის „გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურების შეთავაზების წინადადება“.

დანართი N1

ტარიფები

მომსახურება	გადახდის სიხშირე	ფასი *
ოპტიკურო-ბოჭკოვან კაბელში ერთ კილომეტრზე ერთი ძარღვით სარგებლობის საფასური	ყოველთვიური	14.9
მონაცემების ტრანსპორტირების საფასური ერთი მეგაბაიტი/წმ	ყოველთვიური	0.50
რეკში, ოფერტის 3.6 პუნქტით განსაზღვრული, ერთი სტანდარტული UNIT-ის თანალოკაციის ფართით სარგებლობის საფასური (ფასი განსაზღვრულია აპარატურის 100W/სთ-მდე სიმძლავრეზე)	ყოველთვიური/ერთ ერთეულზე	448.1
დამატებითი გადასახადი სტანდარტულ ზომაზე უფრო დიდი მოცულობის აპარატურის განთავსებისას (ყოველი დამატებითი სტანდარტული UNIT-ის ზომის შესაბამისად)	ყოველთვიური/ერთ ერთეულზე	25.4
გადასახადი აპარატურის სიმძლავრის ყოველ დამატებით 100W/სთ-ზე.	ყოველთვიური	49.9
ინსტალაციის საფასური	ერთჯერადი	381.4
დემონტაჟის საფასური	ერთჯერადი	364.4
დამატებითი დაშვების საფასური	ყოველ დაშვებაზე	127.1

**ფასები მოცემულია ლარში, დღგ-ს გარეშე.*

დანართი N2

1. თბილისი, გაფრინდაულის ქ. N2;
2. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზ. 40ა;
3. კასპი, კოჯრის ქ. N19;
4. ფოთი, ასათიანის 61;
5. ხაშური, 9 აპრილის 36;
6. გორი, დიმიტრი ამილახვარის ქ. N21;
7. ქვიშხეთი, სოფელი ქვიშხეთი;
8. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის N4-ის მიმდებარედ;
9. წყალტუბო, ჭავჭავაძის ქ. N5-ის მიმდ.;
10. მარტვილი, თავისუფლების ქ. N2;
11. სენაკი, მერაბ კოსტავას ქ. N70;
12. ხობი, ცოტნე დადიანის 195-ის მიმდებარედ;
13. ზუგდიდი, სტალინის 2;
14. ახალციხე, გიორგი ბრწყინვალეს ქ. N31;
15. ვალე, ვაჟა-ფშაველას ქ.;
16. სარფი, სოფელი სარფი;
17. თელავი, აჩინებულის ქ.;
18. ლაგოდეხი, 26 მაისის ქ.;
19. თიანეთი, 300 არაგველის ქ.;
20. ბაკურციხე, სოფელი ბაკურციხე;
21. დედოფლისწყარო, სკოლის შეს. N3;
22. დუშეთი, დავით აღმაშენებლის ქ. N104;
23. განჯალა, სოფელი განჯალა;
24. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. N1;
25. მარნეული, შოთა რუსთაველის ქ. N19;
26. სადახლო, სოფელი სადახლო;
27. წითელი ხიდი, სოფელი კირაჩ-მუღანლო;
28. ოზურგეთი, დავით გურამიშვილის ქ. N13;
29. გურჯაანი, ველისციხის გადასახვევი;
30. ყვარელი, ილია ჭავჭავაძის N88-ის მიმდებარედ;
31. ბოლნისი, დავით აღმაშენებლის N 4-ის მიმდებარედ

დანართი N3

1. მომსახურების ხარისხი (QoS)

ა) „Backhaul" გადაცემის ქსელთან დაშვება (მონაცემთა ტრანსპორტირება)

პარამეტრი	**მიზნობრივი მნიშვნელობა**
ფაქტობრივად ხელმისაწვდომი სიჩქარე	არანაკლებ **80%** მაქსიმალური სიჩქარისგან
მინიმალური სიჩქარე	არანაკლებ **20%** მაქსიმალური სიჩქარისგან
დაყოვნება (Latency)	**≤100 ms ერთი მიმართულებით**
ჯიტერი (Jitter)	**≤40 ms**
დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი	**≤1%**
ხელმისაწვდომობა	**98% თვეში**

ბ) მაგისტრალურ ქსელთან დაშვება (ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელში ღერის იჯარა)

პარამეტრი	**მიზნობრივი მნიშვნელობა**
სიგნალის მილევის კოეფიციენტი (Optical attenuation)	არაუმეტეს **0.45 dB/km (1310nm)** და **0.3 dB/km (1550nm)** ან ITU-T G.652/G.657 სტანდარტის შესაბამისად
ხელმისაწვდომობა	**98% თვეში**

კაბელის ტიპი: ITU-T G.652 type D.

QoS პარამეტრები იზომება მომსახურების ტექნიკურ წერტილებს შორის (Service Demarcation Point).

გ) ხარვეზის დაფიქსირების, რეგისტრაციის, კვალიფიკაციისა და პრიორიტეტიზაციის წესები

ხარვეზის დაფიქსირება შესაძლებელია **24/7 რეჟიმში**, შემდეგი არხებით:

1. NOC/ტექნიკური მხარდაჭერის ცენტრი;
2. ელექტრონული ფოსტა;
3. სპეციალური ტექნიკური საკონტაქტო არხი.

ხარვეზის რეგისტრაციის შემდეგ ენიჭება უნიკალური ნომერი (Ticket ID).

ამ დანართით განსაზღვრულია მომსახურების ხარისხი, რომელსაც „დელტა კომმი" უზრუნველყოფს ხელშეკრულებაში მითითებული წერტილებს შორის.

პრიორიტეტიზაცია

პრიორიტეტი	**დონე**	**აღწერა**
P1	კრიტიკული	სრული შეწყვეტა, მრავალი მომხმარებლის ან მნიშვნელოვანი სერვისის გათიშვა
P2	მნიშვნელოვანი	მომსახურების ნაწილობრივი დეგრადაცია ან მცირე შეფერხება
P3	საშუალო	ინდივიდუალური მომსახურების შეფერხება
P4	დაბალი	არასრულფასოვანი ან არასერიოზული გავლენის

		მქონე ხარვეზი

2. **რეაგირების დრო**

პრიორიტეტი	**სამიზნე მოგვარების დრო - რეაგირების დრო (50%)**	**რეაგირების მაქსიმალური დრო**
P1	6 საათი	10 საათი
P2	12 საათი	16 საათი
P3	16 სამუშაო საათი	24 სამუშაო საათი
P4	24 სამუშაო საათი	32 სამუშაო საათი

<u>შენიშვნა:</u> **სამიზნე მოგვარების დრო (Target Restoration Time) – დაზიანებების არანაკლებ 50%-ისთვის - „50%-იანი დრო“ ნიშნავს, რომ შესაბამისი პრიორიტეტის დაზიანებების არანაკლებ 50% აღდგება/მოგვარდება აღნიშნულ ვადაში, ხოლო ყველა დაზიანების აღმოფხვრა განხორციელდება შესაბამისი მაქსიმალური ვადის ფარგლებში.**

3. **დაზიანების მოგვარების დრო**

პრიორიტეტი	**სამიზნე მოგვარების დრო - მოგვარების დრო (50%)**	**მოგვარების მაქსიმალური დრო**
P1	12 საათი	20 საათი
P2	18 საათი	32 საათი
P3	32 სამუშაო საათი	40 სამუშაო საათი
P4	40 სამუშაო საათი	48 სამუშაო საათი

24/7 ტექნიკური მხარდაჭერა და ესკალაცია

ტექნიკური მხარდაჭერა ხორციელდება **24/7/365 რეჟიმში**.

ესკალაციის დონეები:

I დონე – Service Desk / NOC
საწყისი დიაგნოსტიკა, დაზიანების დაფიქსირება, მონიტორინგი.

II დონე – ქსელის ტექნიკური ჯგუფი
დეტალური დიაგნოსტიკა და დაზიანების ლოკალიზაცია.

III დონე – ინფრასტრუქტურის/ოპტიკური ქსელის ჯგუფი
ფიზიკური დაზიანებების აღდგენა, კაბელის, ტრასის ან აქტიური მოწყობილობების შეკეთება.

P1 და P2 კატეგორიის დაზიანებებზე ინფორმაცია მომხმარებელს მიეწოდება რეგულარული განახლებებით.

4. **გეგმიური ტექნიკური სამუშაოები**

გეგმიური ტექნიკური სამუშაოების შესახებ შეტყობინება გაიგზავნება **არანაკლებ 48 საათით ადრე**.

შეტყობინებაში აისახება:

1. სამუშაოს სახეობა;
2. მოსალოდნელი გავლენა;
3. დაწყებისა და დასრულების დრო;

4. **შესაძლო სარეზერვო სქემა.**

გეგმიური სამუშაოები შეძლებისდაგვარად განხორციელდება **დაბალი დატვირთვის პერიოდში (ღამის საათებში)**.

იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება ისეთი გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის სისტემის უსაფრთხოებას, სტაბილურობას, მონაცემთა მთლიანობას ან მომსახურების უწყვეტობას, „დელტა კომმი“ უფლებამოსილია განახორციელოს გადაუდებელი ტექნიკური სამუშაოები წინასწარი 48-საათიანი შეტყობინების გარეშე.

5. **გამონაკლისი შემთხვევები**

5.1. მომსახურების ხარისხის გაუარესებად არ ჩაითვლება, თუ ადგილი აქვს ერთ-ერთ ქვემოთ მოცემულ გარემოებას:

5.1.1. „კონტრაჰენტის“ მიერ „დელტა კომმის“ შეტყობინება არ ხორციელდება ან ხორციელდება „ხელშეკრულებით“ დადგენილი წესის დაუცველად;

5.1.2. ხარისხის გაუარება გამოწვეულია „კონტრაჰენტის“ აპარატურის ხარვეზის/გაუმართაობის გამო;

5.1.3. გაუმართაობა, დაყოვნება, დაზიანება, ტექნიკური შეცდომა, ხარვეზი, წუნი, შეფერხება ან/და სხვა ტიპის ვითარება, გამოწვეულია ნებისმიერი მესამე პირის მიერ;

5.1.4. დაზიანების გამოსასწორებლად სამუშაოების წარმოება ფერხდება/ჭიანურდება „დელტა კომმისაგან“ დამოუკიდებელი მიზეზით ან სამუშაოების წარმოება დაუშვებელია/შეუძლებელია საჭირო ნებართვის (სახელმწიფოს ან სხვა მესამე პირის) არარსებობის ან შესაბამისი უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის გამო;

5.1.5. „კონტრაჰენტი“ თავს არიდებს ან არ ასრულებს „დელტა კომმის“ მითითებებს, მაგ. პროგრამული უზრუნველყოფის განახლებას, გადატვირთვას, სახელმძღვანელო წესებს, თუ სხვა ტიპის მოთხოვნების შესრულებას;

5.1.6. „კონტრაჰენტის“ მიერ თვითნებურად, „დელტა კომმთან“ შეთანხმების გარეშე განხორციელდა ცვლილება მხარეთა მიერ შეთანხმებულ სისტემებსა და მის კონფიგურაციაში;

5.1.7. ადგილი აქვს ფორს-მაჟორულ გარემოებას.

6. **კომპენსაცია**

6.1. „დელტა კომმის“ მომსახურების მიწოდებისას ხარისხობრივი მაჩვენებლის დარღვევის შემთხვევაში, „კონტრაჰენტის“ მხრიდან კომპენსაციის მოთხოვნა და განხილვა ხორციელდება შემდეგი წესის დაცვით:

6.1.1. საანგარიშო თვის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 დღის ვადაში „კონტრაჰენტმა“ უნდა მიმართოს „დელტა კომმს“ კომპენსაციის მოთხოვნით;

6.1.2. კომპენსაციის მოთხოვნა წარდგენილ უნდა იყო წერილობით (ან ელ. ფოსტით);

6.1.3. კომპენსაციის მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს გასული თვის განმავლობაში მომხდარი ყველა ის შემთხვევა, როდესაც „დელტა კომმის“ მიერ დარღვეულ იქნა გათვალისწინებული რეაგირების ვადები ან/და არ იქნა დაცული ხარისხობრივი მაჩვენებელი;

6.1.4. კომპენსაციის მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს კომპენსაციის ჯამური ოდენობა.

6.2. 6.1 პუნქტში მითითებული წესების დაცვით კომპენსაციის მოთხოვნის შემთხვევაში, „დელტა კომმი“, კომპენსაციის მოთხოვნას განიხილავს 30 დღის ვადაში და წერილობით (ან ელ. ფოსტი) აცნობებს კანდიდატს მიერ ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

6.2.1. სრულად დაეთანხმდება „კონტრაჰენტის“ მოთხოვნას; ან

6.2.2. ნაწილობრივ დაეთანხმდება; ან

6.2.3. არ დაეთანხმდება; ან

6.2.4. დამატებითი მოკლვევისთვის მოითხოვს დამატებითი ინფორმაციას ან/და სამუშაო ჯგუფის შექმნას.

6.3. სამუშაო ჯგუფის შექმნის შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფი ვალდებულია 30 დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება. სამუშაო ჯგუფი შედგება მხარეთა მიერ დანიშნული პირებისაგან.

6.4. „კონტრაჰენტის“ მხრიდან სამუშაო ჯგუფის შექმნის მოთხოვნის არ შესრულების ან „დელტა კომმის“ მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის არ მიწოდების შემთხვევაში, „დელტა კომმი“ უფლებამოსილია განუხილველად დატოვოს „კონტრაჰენტის“ მოთხოვნა.

6.5. „ოფერტით/„ხელშეკრულებით“ განსაზღვრული დათქმებისა და გამონაკლისი შემთხვევების გათვალისწინებით, თუ მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხების ხანგრძლივობა გადასცდა განსაზღვრულ დროს, „დელტა კომმის“ პასუხისმგებლობა შემოიფარგლება და განისაზღვრება შემდეგი სახით:

6.5.1. დანართის 6.1-6.3 პუნქტებით დადგენილი წესით, დაჯამდება კონკრეტული მომსახურების წყვეტის/უხარისხოთ მიწოდების დრო (წუთობრივი სიზუსტით); და

6.5.2. „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მომსახურების საფასურიდან გამოიანგარიშება წყვეტის/უხარისხოდ მიწოდების დროის პროპორციული საფასური (წუთობრივი სიზუსტით); და

6.5.3. გამოანგარიშებული ჯამური თანხა გამოაკლდება მომდევნო საანგარიშო პერიოდის მომსახურების საფასურს.